

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორები“

ფრაქციის სხდომის

ოქმი N 1

ქ.თელავი

15. 02. 2019 წ

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები : მაია მარკოზაშვილი , გიორგი ქიზიყელაშვილი , დავით გოგოშვილი .

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხ: მ მარკოზაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხ: მ მარკოზაშვილი

მაია მარკოზაშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო საკრებულოს ახალი რეგლამენტის პროექტი.

აზრი გამოთქვა: დავით გოგოშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტში, ფრაქციას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო, თუმცა იმავე მუხლის მე- 13 პუნქტის მიხედვით ფრაქცია რეგისტრირებულად ითვლება მას შემდეგ, რაც საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია დადებით დასკვნას წარადგენს და ცნობად მიიღებს საკრებულო კენჭისყრის გარეშე.

აზრი გამოთქვა: გიორგი ქიზიყელაშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი რეგლამენტის 130 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საკრებულოს წევრი ვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად სამ თვეში ერთხელ მაინც მოაწყოს შეხვედრები თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობიბასთან. ქიზიყელაშვილის აზრით ორ თვეში ერთხელ შეხვედრა კი ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, შესაბამისად სამანდატო

საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ რეგლამენტის პროექტში გათვალისწინებული ეს ცვლილება მიზანშეწონილია.

**გადაწყვეტის:**

ფრაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინება და ამ ცვლილებების შესაბამისად ახალი რეგლამენტის მიღება.

ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორები“ს

თავმჯდომარე

მ. მარკოზაშვილი

მოადგილე

გ. ქიზიყელაშვილი

წევრი

დ. გოგოშვილი

